შრომითი სტანდარტების გავლენა კომპანიის რეპუტაციაზე

ავტორი: სოფიკო ჩაფიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

საზოგადოებრივი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა: საზოგადოებასთან ურთიერთობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაგისტრი ირინე ჭელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი, 2026 წელი

განაცხადი

ვაცხადებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „შრომითი სტანდარტების გავლენა კომპანიის რეპუტაციაზე“ შესრულებულია დამოუკიდებლად, აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით და ეფუძნება შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურასა და კვლევის შედეგებს.
ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო მითითებულია დადგენილი აკადემიური სტანდარტების შესაბამისად. წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს შრომის უსაფრთხოების, ორგანიზაციული ეფექტურობისა და კორპორაციული რეპუტაციის ურთიერთკავშირის შესწავლას.

ანოტაცია/Abstract

ნაშრომი ეძღვნება შრომითი სტანდარტების გავლენის შესწავლას კომპანიის რეპუტაციაზე. თანამედროვე ბიზნეს გარემოში ორგანიზაციის რეპუტაცია განისაზღვრება არა მხოლოდ მისი ფინანსური მაჩვენებლით, არამედ შიდა მართვის პრაქტიკებით, მათ შორის თანამშრომელთა უსაფრთხოების და სამუშაო პირობების უზრუნველყოფით. მოცემული გარემოება განსაკუთრებით აქტუალურს ხდის შრომითი უსაფრთხოების როლის მნიშვნელობას ორგანიზაციის იმიჯის ფორმირების პროცესში.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, თუ როგორ აისახება შრომითი უსაფრთხოების დაცვა ან უგულებელყოფა კომპანიის რეპუტაციაზე და რა გავლენას ახდენს ეს მომხმარებლის, დასაქმებულთა და ბიზნეს პარტნიორების დამოკიდებულებაზე. კვლევა აერთიანებს თეორიულ მიმოხილვას და პრაქტიკული მაგალითების ანალიზს, რაც უკეთ გამოკვეთს კავშირს შრომით პრაქტიკებსა და რეპუტაციულ შედეგებს შორის.

ყურადღება გამახვილებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების, საკონსულტაციო კომპანიებისა და მათი სერვისების მნიშვნელობაზე, როგორც ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმზე, რომელიც კომპანიებს ეხმარება რისკების მართვასა და ღირსეული რეპუტაციის შენარჩუნებაში. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ შრომითი სტანდარტების დაცვა წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ფაქტორს, რაც პირდაპირ კავშირშია ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივებსა და კონკურენტულ გაერმოში მის წარმატებულ ოპერირებაზე.

This thesis is dedicated to examining the impact of labor standards on corporate reputation. In the contemporary business environment, an organization's reputation is determined not only by its financial performance but also by its internal management practices, including the provision of employee safety and adequate working conditions. This makes the role of occupational safety particularly significant in the process of shaping and maintaining a positive corporate image.

The aim of the study is to investigate how compliance with or neglect of occupational safety standards affects a company's reputation and how this, in turn, influences the perceptions of customers, employees, and business partners. The research combines a theoretical review with the analysis of practical cases, allowing for a deeper understanding of the relationship between labor practices and reputational outcomes.

Special attention is given to the role of occupational safety specialists, consulting companies, and the services they provide as effective mechanisms that assist organizations in managing risks and maintaining a positive reputation. The findings of the study indicate that compliance with labor standards represents an important strategic factor directly linked to an organization's development prospects and its ability to operate successfully in a competitive business environment.